

1
1962

ქართული
გაზეთების



№ 11

თბილისი ივნისი

1962



გამოცემის XXXX წელი, ზარი 20 კპ.

ნან. ჯ. ლოლუასი

— მე თქვენს ხელმძღვანელად ვარ დანიშნული, ამო-
დით წელიდან, რომ ცურვა გასწავლოთ!

თამარა



ახლახან ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი ზემოქმედებით აღნიშნა აკადემიკოს ავლიბი დავითის-ძე ზურაბაშვილის დაბადების 60 და მეცნიერულ-პედაგოგიური, საექიმო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წლისთავის იუბილე.

პატარა ბიჭი იყავი
ბოდბისხეველი, კახელი,
დღეს მსოფლიოში გიცნობენ
დიდ მეცნიერის სახელით.

მოლოცვა გამოგიგზავნათ
ყველა სოფელმა, ქალაქმა,
მოგართვეს მცირე ნობათად
კახური მიწის ბარაქა.

დიდი ხანია, რაც ნიანგს კითხვა-პასუხის საღამო არ გაუმართავს. ამიტომ ბუნებრივია, უამრავი კითხვა დაგროვდა მოსახლეობაში. და აი დღეს ნიანგმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა კითხვა-პასუხის საღამო. საღამოს, ჩვეულებისამებრ, უამრავი კორესპონდენტი, ფოტორეპორტიორი, მომჩივანი და მოსერიჩე დაესწრო. პირველი კოლექტიური შეკითხვა ნიანგს ხაშურის რაიონის სოფელ წრომის კოლწევრებმა ჯ. სარალიძემ, ე. გულიტაშვილმა, გ. ბურჯიკელმა და ლ. ქურდაძემ მიიტყეს.

კითხვა-პასუხის საღამო

და, ბუნებრივია, ქუთაისის ახლო მდებარე სოფლები რა შეიძლება, თამაშს გააცდენენ. ასევე არიან ვანელებიც, ქუთაისში ვანიდან ფეხით ჩასვლა არც ისე ადვილია. ამისათვის არსებობს ავტობუსი. ვანის ავტოსადგურის მუშაკები-სათვის საფეხბურთო დღე ყველაზე სარფიანია. აქაო და, გაუგიათ, ბურთი მრგვალიაო და ფეხბურთის დღეს ავტობუსის ბილეთის ფასებსაც ამრგვალებენ. დამრგვალებას ვინ ჩივის, ბილეთების ფასი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და დღის ბოლოსათვის ორმაგი ხდება. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არაოფიციალურად ხდება, ამიტომ ოცადგილიან ავტობუსში სამოცამდე კაცი თავსდება. ასეა სხვა სოფლების ავტოსადგურებშიც. ძვირფასო ნიანგო, გეასწავლე როგორ მოვიქცეთ?

პასუხი: — გადაწყვეტს ვერაფერს გეტყვით, პატრეცემულო გურამ, რადგან პირადად არ მიმგზავრია ამ ავტობუსით, მაგრამ თუ ეს მართლა ისეა, როგორც თქვენ ბრძანებთ, გადაეცით ავტოსადგურის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ბურთით ამრგვალებენ ბილეთის ფასებს, შეიძლება ეს ბურთი ჩვენი ჩანგლის დახმარებით დაიჩუქოს, ამიტომ ცოტა ფრთხილად იყავნე.



კითხვა: — მე ქუთაისის რაიონიდან, აწყესიდან ვარ, ძვირფასო ნიანგო, ვახტანგ მჭედანაძე შენ პირის ღრუს პიგიენა არ გეასწავ-

ლება, ამ საქმით მსოფლიოში ხარ ცნობილი, მაგრამ არც მე ვარ მთლად ხელიდან წასული. ერთ დროს, დაახლოებით 1962 წლის იანვრის ბოლომდე, მეც ვამაყობდი ჩემთა კბილთა ბროლისებრი გაღვებთა და სიქათქათით, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს ჯაგრისს ჯაგარი გაცვივდა და ხელში-მართო ტარი შემარჩა. მოვიარე მთელი აჭარა, სად არ ვიყავი, სად არ ვიყითხე, ვის არ ვთხოვე, მაგრამ საქმე გამოგლევი? სადაა ჯაგრისი? გავვარდი ბათუმში, აფთიაქი, მაღაზია, უნივერსალი, სად გინდა, სულო და გულო, რომ არ ვიყავი, მაგრამ სადაა ჯაგრისი. მა-

შინ ძველი ჯაგრისის შეკეთება გადაწყვიტე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რა გქნა ახლა, ჩემო ნიანგო, გავაგრძელო სირბილი და ჯაგრისის ძებნა, თუ დავიჭირო გულზე ხელი და ველოდო, როდის დამცვივდება კბილები, რომ ჯაგრისი აღარ დამჭირდეს?

პასუხი: — ამხანაგო, ვახტანგ, კბილების დაცვენამდე აჭარაში ჯაგრისის გამოჩენის იმედი არც მე მაქვს, მაგრამ თუ გამოჩნდა და იშოვე, არ დამწარდე, ერთი ჩემთვისაც იყიდე, თორემ თბილისური ჯაგრისების იმედით მეც შენს დღეში ჩავვარდები. თუ ძმა ხარ, არ დამაღალატო



კითხვა: — პატრეცემულო ნიანგო! ჩვენს სოფელს წრომი ჰქვია. ამ სახელწოდების ეტიმოლოგიას ვერ დაგიდგენთ, მაგრამ, რა სკირს წრომს, ახლავე მოგახსენებთ. წრომში არ არის გზა, არ არის ექიმი, არ არის აფთიაქი, არ არის შუქი და, ყველაფერი ამ სიკეთესთან ერთად, კლუბი თავზე გვეფარება. გვიჩიო ახლა, ძვირფასო ნიანგო, რა ვიღონო?

პასუხი: — მე რა უნდა გირჩიოთ, ჩემო მეგობრებო, რაც არ უნდა ვიყვირო, თქვენი რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელობას, ეტყობა, ისე აქვთ ხელი ჩაქნეული, მაინც არაფერი არ გამოვი. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გირჩიოთ, გამოუცვალოთ წრომს სახელი და მიტოვებული დაარქვით. მაშინ თქვენი გასაქირი არავის გაუქვირდება.

კითხვა: — ძვირფასო ნიანგო, მე, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ რობის მცხოვრები, გურამ მჭედანაძე, გაწუხებული. გავგეგმონათ ქუთაისის "ტორპედო" წელს პირველად გამოდის "ა" კლასში



— ვახ, სანამდე უნდა ვუცადოთ ორმა ვაჟაცმა მანქანის დატვირთვას?

ს ა ს ა დ ი ლ ო ა თ ე კ ე რ ძ ო ღ ე ქ ა ნ ი ?!

ადამიანმა, უნდა, თუ არ უნდა, თუ სიცოცხლე უნდა, უნდა ჰქონდეს. ერთი სიტყვით, ჰქონდეს ადამიანისათვის აუცილებელი და ისიც იმდენად აუცილებელი, რომ მტკიცებას არ საჭიროებს.

ჰოდა, ამ ბუნებრივი და ადამიანური მოთხოვნილების ადამიანურად დაკმაყოფილების მიზნით, ადამიანებს ზნაურის რაიონის სოფელ წნელისში სასადილო გაუხსნიათ, რადგანაც, გაუთვალისწინებიათ ის მდგომარეობა, რომ წნელისში არსებულ საქთალკის წარმოებას ასევე მეტი მუშა-მოსამსახურე ჰყავს და იქ, დიდი თუ პატარა, ოჯახის წევრებიანად, ხუთასამდე ადამიანი ცხოვრობს და ცხოვრების ადამიანურ პირობებს საჭიროებს.

საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოების რესპუბლიკური კავშირის — „ცეკავშირის“ — გამგეობას არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება საქთალკის წნელისის მუშათა სასადილოს ხეირიანად მომარაგების მოსაგვარებლად, გამოუყვია დამატებითი და დამატებითი პროდუქტები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა და ვითარებების გამო, ამ პროდუქტებს მომხმარებლებამდე ან არ მიუღწევია, ან, თუ მიუღწევია, უაღრესად ანტისანიტარულ პირობებში და უაღრესად გაძვირებულს.

ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მუშათა სასადილოს თავკაცები ბრძნულად ასკვნიდნენ მესამე კატეგორიის კერძს პირველი კატეგორიისა ჯობილად და, ამიტომაც, კერძს იგივეს სტოვებდნენ, უხარისხოსა და უგემურს, მაგრამ ფასს 20-30 პროცენტით ზრდიდნენ და, ამგვარად, ძვირი ფასის მეოხებით, კერძებს „ძვირფას“ კერძებად აქცევდნენ.

პროდუქტებზე საქაპანოს, რა თქმა უნდა, არიცხავდნენ, მაგრამ იმ გარემოებასაც სულაც არ უშვებდნენ მხედველობიდან, რომ მუშებს გამომუშავება ღიახაც რომ კარგი აქვთ და შეუძლიათ ძვირფასი მიირთვანო და არიცხავდნენ კერძებს, კარაქსა და თევზის კონსერვებს 18-18 პროცენტს, საჭმელ ზეთს — 30 პროცენტს და ასე მიყოლებით.

არცთუ ისე მიაბიძგებია იყვნენ, რომ არ სცოდნოდათ, მუშათა სასადილოებში მაგარი სასმელები რომ არ უნდა იყიდებოდეს, დაკანონებული წესის თანახმად, მაგრამ, სასადილოს გამგის კუმსავეის შნოს და მარიფათის წყალობით, სასადილო უხვად მარაგდებოდა კონიაკითა და არყით, სუფრისა და სამარკო ღვინოებით, და იქ ხშირად გაისმოდა ყველსაგან გაზეპირებული და ღიახაც ღირსსახსოვარი დათაფლული სადღეგრძელო: — ჩვენი სასადილოს გამგეს სიცოცხლე და ღლეგრძელობა ნუ მოაკლოს მამაზეციერმა, აქეთ რომ გავარდება, იქით რომ გავარდება, ნემსის ყუნწში გაძვრება და ლობიოთი და „სოუსით“ მაინც გვამარაგებს და მაგარ სასმელებსაც უღიმიტოდ გვასმევს, თორემ ზნაურის რაიკოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის კატჯაევის ანაბარა მშვიდრები დავიხოცებოდიო.

ყოვლად პატივცემულ კატჯაევს, არ გეგონოთ თითქო ტყუილად, ასე ვთქვათ, შემთხვევით იხსენიებდნენ სადღეგრძელოებში წნელისელი მუშები. არა, ძვირფასებო, კატჯაევს აქვს სათანადო დამსახურება, მიუძღვის იმდენი ღვაწლი, რომ დავიწყების უმადური ფერფლი არ გადააფარონ მის ამიერიდან არათუ რაიონის, რესპუბლიკის ფარგლებში ღირსეულად მოხვეჭილ სახელს.

სასადილოსათვის „ცეკავშირის“ მზრუნველი ხელით გამოყოფილ პროდუქტებს კატჯაევი, იქვე, ზნაურში ყიდდა, რამეთუ წნელისი ეშორებოდა, რაღა ცხრა გორის გაღალმა გავყიდო, წნელისელებს ეგრემც უქნიათ, კუჭიც გახმობიათ, მე აქვე ვივაჭრებ, გეგმას აქვე შევასრულებ და თავი ქუდში აქვე მექნებაო.

მუშების საჩივარი ერთხელაც არ უღია კატჯაევს ყურად,



— სიყვარულის საწინდრად მიიღეთ ჩემგან ეს მცირე-
ლი საჩუქარი!
— ქრთამი არ დამანახვო!

უამთაცვლას არ ვსდევ და სხვის საქმეში არ ვერევიო, ამბობდა და თავს არხეინდ გრძნობდა.

სასადილოში კალკულაცია წლობით უცვლელი რჩებოდა. კერძების რაოდენობა თანდათან კლებულობდა, ფასი თანდათან მატულობდა, უკმაყოფილებაც თანდათან იზრდებოდა და იჩივლეს მუშებმა, მთვარიან ღამეში როგორ ბნელა, ქვეყანა ღოვ-
ლათით აივსო და, რა გაჭირდა, რომ ჩვენ გვაშიშვლილებნო.

„ცეკავშირმა“ რამდენიმე კომისია გაგზავნა ადგილზე, შეამოწმეს საჩივრებში მოყვანილი ფაქტები, ნახეს რომ მომჩივნები ცამდე მართლები არიან, გაირჩა მათი საჩივარი, დასაბუთ-
ლი იქნა ღონისძიებები, გამოიყო რამდენიმე ტონა დამატებითი პროდუქტი, უმსგავსო მუშაობისათვის მოხსნილი იქნა სასადი-
ლოს გამგე, ნაწილობრივ დაისაჯა კატჯაევიც, მაგრამ, როგორც „ბოროტი“ ენები ამბობენ, მდგომარეობა ჯერაც არაა გამოსწო-
რებული, ისევ ამოდის სასადილოს საკვამურში გრავნილი კვამ-
ლი, მაგრამ კერძები ისევ ისეთივე კერძებად დარჩნენ და მუ-
შები კიდევ უკმაყოფილონი არიანო.

ღრთა ბოლო მოუღოთ ამ უმსგავსოებას, ზნაურის რაიკო-
პერატივის მესვეურნო და თავკაცებო!

ღრთა შეიგნოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ჰქონდეს ადამი-
ნის უპირველესი ადამიანური მოთხოვნილება.

ჩანგლიანები



5

სამუშაო დღე ესაჩის არის დაიწყო და გამომცემლობის მუშაკის ოთახი უკვე საესეა ავტორებით.

— რა სათაური აქვს თქვენს რომანს?
— ჰინჭრაქას თავგადასავალი, — ამბობს ჭალარა დამწყები.

— თქვენ ვეტყვიმ ბრძანდებით?
— არა, ბატონო, კომბინატში ვმუშაობ მწილეების საამქროს გამგედ!

— აბა, წაიღე, თუ არ გინდა მწილად ჩავდოთ შენი ხელნაწერი.

გამოუცდელი დამწყები უბრძოლველად ტოვებს კაბინეტს.

კარი იღება და გაუბედავი ნაბიჯით შემოდის ბრგე ტანის ახალგაზრდა „ეს ღიბხანს იბრძოლებს“, ფიქრობს გამომცემლობის მუშაკი. ავტორმა თვალი მოჰკრა კედელზე გაკრულ ინსტრუქციულ ხასიათის წარწერას: „თუ მოგეწონება, ნუ დაუბეჭდვ“ და შემდეგი ნაბიჯი უფრო მტკიცედ გადადგა.

— დიდი ხანია, წერა დაიწყე?
— არა ბატონო, ეს პირველია...
— აქამდე რით ცხოვრობდი?
— სახეღარი მყავდა და...
— მოგიკვდათ? — გულწრფელი მწუხარებით შეეკითხა გამომცემლობის მუშაკი.

— არა, ბატონო, რეჟისორმა კინოში გადაიღო...

— მერე?
— მერე, ბატონო, ვირმა მუშაობას და ბალახის ჭამას თავი დაანება და ქალაქისაკენ მოიწვეს.

— ახლა სად არის?
— კინოსტუდიასთან მიცდის, ბატონო, ნამცხვრების მაღაზიის კარებთან.
— გასაგებია, ეგ აღარ იმუშავენს.
— არც მე, ბატონო...
— მოკლედ მოყვები, რა დაწერე?
— მგელი, ძროხა, ბატი, თხა, ცხვარი და ვირი...

დაიბრუნეთ,



ბატონო

— გადაწყვეტენ მეცხოველების ფერმა შექმნან?!

— დიახ, ბატონო, სწორედ ასეა.
— ფერის გამგედ ვინ აირჩიეს?
— მგელი, ბატონო.
— რატომ მგელი?
— სხვებს არა სცალიათ, ბატონო, მუშაობენ.

— მთავარი იღება?
— ახლავე, ბატონო, — ეძებს, — აგერ, ძროხა ხბოს ეუბნება: — მოეშვი ჩასაბარებელ რძესო.

— კარგი, დანარჩენს მე მოგიყვები. მეურნეობაში დატაცებებს აქვს ადგილი, მგელი შენდება. ასეა?

— ასეა, ბატონო.
— ახლა ის მითხარი, მგელს რომ მოხსნიან და საწყობში გადაიყვანენ, მის მაგივრად ვის აირჩევენ?

— ცხვარს, ბატონო.
— შემდეგ, მგელს რა ემართება?
— მგელი ტყეში გზას ვერ იგნებს და იღუპება, როგორც მტაცებელი.

— სადაა ამისთანა ტყე? — იკითხა გახარებულმა ახალბედა მონადირემ, რომელსაც, ტურგენევის გავლენით,

„ორი კურდღლის მადეგარი“ დაეწერა და წარმოდგინა გამომცემლობაში.

— რომანშია, ბატონო, ისე სადაა!

— კარგი, კარგი, — ამბობს გამომცემლობის მუშაკი, — დამიწერე პატარა განცხადება და ახალ სახედას...

— ახლავე ბატონო. — წერს: — „შემოქმედების ცეცხლმა და წყურვილმა ადრე ამაღებინა ხელი სკოლაში სიარულზე, მას შემდეგ მხოლოდ კინოში დავდიოდი და ხანდახან მეზობლებშიც. როდესაც რეჟისორმა ჩემი ვირი კინოში გადაიღო, გადავწყვიტე მეც კინო გადამეღო. რადგან კინოაპარატი ძნელი საშოვნელია და ფიზიკური შრომა შეუფერებელია ჩემისთანა შემოქმედისათვის, გთხოვთ დამიდოთ ხელშეკრულება და დამიბეჭდოთ რომანი...“

ცოტა ხნის შემდეგ გამომცემლობის მუშაკი უკვე დამწყებ მეხანძრეს ებრძოდა, რომელსაც, აივზოვსკის გავლენით, რომანი „ზღვა და ისევ ზღვა“ დაეწერა. სიუჟეტი აღებული ჰქონდა სახანძრო რაზმის კედლის გახეთიდან.

— ფულს მე გადავიხდი, ოღონდ დამიბეჭდეთ, — იხვეწებოდა მეხანძრე დამწყები. — ჩვენს რაზმში ყველა წერს და მე ვაუჟაცი არ ვარ?

გამომცემლობის მუშაკი მტკიცე უარზეა. მაშინ მეხანძრე-დამწყები მუქარას მიმართავს.

— ტოლსტოი გრაფია და იმიტომ უბეჭდავთ არა? მე მეხანძრე ვარ, შენ რომ გძინამ, მე მღვიძამ.

— ტოლსტოი!? — გაიკვირვა გამომცემლობის მუშაკმა.

— აბა, ის სქელი ვინ იყო, ახლა რომ გავიდა?!

ა. მარინაშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რძის ბოთლი რომ მოგიტანია, მაგაში რა „ბატიბუტს“ მოგცემენ!

— მამაშენი ლოთი ყოფილა, მაგდენი ბოთლი რომ მოუტანია სახლში!

როდესაც ენდობიან

სადისერტაციო ნაშრომში მრავალი შეცდომა აღმოჩნდა. დისერტანტმა დაიფიცა, სხვას დავაწერინე და ყველაფერი მისი ბრალიაო. თბონენტებმა დაუჯერეს და სამეცნიერო ხარისხი ერთხმად მიანიჭეს.

შეიცოდა

— თქვენს ცოლისძმას საწყობის გამგის ადგილი უნდა, — უთხრა მოადგილემ დირექტორს.

— ახლანდელს რა ვუყოთ?
— გაავათავისუფლოთ. ცოდვია, პატიოსანი კაცია და საწყობში გაფუჭდება.

ა. ტალია

რესტორანში

— არა გრცხვნიან, ბიჭო, ასე მოურიდებლად რომ მატყუებ?
— რომ მრცხვნიოდეს, ბატონო, ჩვენი დირექტორი აქ გამაჩერებს?

თავისთავარი განმარტება

— ალბათ შავ ზღვას იმიტომ შეარქვეს ასეთი სახელი, რომ დამსვენებლები აქედან თეთრი მიდიან, იქიდან კი გაშავებული ბრუნდებიან.

კადრების განყოფილებაში

— დახასიათება მოიტანეთ?
— მოვიტანე, ბატონო.
— როგორია?
— ეგ რა საკითხავია, ცუდი რომ იყოს, ხომ არ მოგიტანდით!

გ. ზაზინაშვილი

— ნიკიფორე... ეუ, ნიკიფორე!.. —
გაისმა შუალამისას სეფისკვერადების
ჭიშკართან.

— ადექი, შე კაცო, არ გეყურება,
რომ გეძახის ვიღაცა? — შეუტია ქმარს
ძილდამფრთხალმა ელისაბედმა.

— ვინ ეშმაკია, ამ უდროო დროს რომ
გავახსენდი!.. — აბუზღუნდა ნიკიფორე,
კარებში გაიხედა და შეეხმაურა მო-
სულს: — რომელი ხარ, რომელი?..

— ზოსიმე ვარ, მეზობელი კოლმეურ-
ნეობიდან, ვერ მიცანი?

— რა მინდაო, ნეტავი, რა? — იკით-
ხა ელისაბედმა.

— მითხრა, ქალო, რომ გითხრა? —
შეუღრინა ცოლს ნიკიფორემ, ტანსაც-
მელი ჩაიცვა და ეზოში ჩავიდა.



ელისაბედმა ზეწარივით დიდი შალსი
მოისხა, ფანჯარასთან დადგა, ყური მი-
უვდო ეზოში მოსაუბრეთ და სახლისაქენ
მომავალი სტუმარი და ქმარი რომ დაი-
ნახა, ცეცხლი გადმოყარა თვალებიდან:

— ჰმ, რომ ჰკითხო, ჰკვიანო ვარო...
არა, სად მოყავს ახლა ის კაცი! — იტ-
კიცა ლოყაში ხელი ელისაბედმა, საჩქა-
როდ გადაიკცა კაბა, აივანზე გავიდა და
ძალდატანებული ღიმილით მიეგება
სტუმარს: — მობრძანდით, თქვენი ჭი-
რიმე, მობრძანდით... გთხოვთ, გთხოვთ...

— მაპატიეთ, შეგაწუხეთ... — მოუ-
ბოდიშა სტუმარმა, — ადრე მოსვლა
ვერ მოვახერხე, მაგრამ მოუსვლელო-
ბაც არ იქნებოდა.

— რისი ბოდიში, თქვენი ჭირიმე,
მობრძანდით... დაბრძანდით...

— ხეალ დილაზე ვაზის შეწამვლას
ვიწყებთ... ნიკიფორე ნამეტანი გარკვე-
ული კაცია ამ საკითხში და გვინდა დაგ-
ვეხმაროს.

— იცოცხლეთ, ამან ვაზის ყველაფე-
რი ფრიალზე იცის, — თავი გამოიღო
ელისაბედმა. — უდიდლომო გახლავთ,
ბატონო, მაგრამ ბევრ დიპლომაის
შურს ამის ნიჭი..

ნიკიფორეს ეუხერხულა ცოლის ტრა-
ბახი, შეუმჩნევლად ჩამოსწია ხელი და
ხმადაბლა გადაუღაპარა:

— მიხედ, ქალო სტუმარს...

— რა მიხედვა უნდა, არ ზის სკამზე,
თუ თავზე წვიმა ჩამოსდის. — სიცილნა-
რევი ხუმრობით გაეპასუხა ელისაბედი.



— ელისაბედ... ჭიქა და ღვინო სტუ-
მარს. — დააბრიალა ნიკიფორემ თვა-
ლები.

— ა!.. მე არ მოგიკვდეთ, ღვინის დამ-
ლევი არ ვარ ახლა. — იუარა სტუმარ-
მა.

— კაი, ზოსიმე... — არ მოეშვა სტუ-
მარს მასპინძელი, —ოჯახს არ დამილო-
ცავ, შე კაცო?

— სხვა დროს, ნიკიფორე.

— მაწყვინებ, ზოსიმე...

— კაი ახლა, ნიკიფორე...

— ზოსიმე, თუ ძმა ხარ...

— გვიანია, ნიკიფორე...

— რაის გვიანია, საათს რას უცქერი,
არ გრცხვენია, ზოსიმე?..

— უხერხულია, ადამიანო, ნუკი დაა-
სუსტე სტუმარი. არ გესმის, რომ ეჩქა-
რება კაცს?... — ჩაერია ლაპარაკში ელი-
საბედი.

— სწორედ რომ მეჩქარება. ხვალ დი-
ლა უთენია უნდა შეგუდგეთ მუშაო-
ბას. — მორიდებული ღიმილით თქვა
სტუმარმა და წამოდგა.

— ელისაბედ! — იქუხა გამწარებულ-
მა ნიკიფორემ.

— რა იყო, შე ფეთიანო?... რავა, არ
მხედავ, ავერ რომ ვარ?..

— ღვინო სტუმარს, ქალო!.. — იყვი-
რა ნიკიფორემ.

— კი, ბატონო, კი... მომაქვს, მოვაფ-
რენ!.. წითელი, თეთრი, რომელს ინე-
ბებთ?... — იყვირა ელისაბედმაც და
ქმრის ჭირვეულობით გაგულისებულ,
სამზარეულოში შექანდა.

— ნიკიფორე, ეზოში ცხენი მყავს...
დავხედავ და... კი მოვბრუნდები ახლა-
ვე. — მორიდებით შენიშნა სტუმარმა.

— იჯექი, ჭირიმე, მე ავერ არ ვარ... —
თქვა სიცილით ნიკიფორემ და სამზარე-
ულოში გავიდა ცოლთან. — გეყურება,
ელისაბედ?... სტუმარს ცხენი ჰყოლია
ეზოში, კაი ადგილი მიუჩინე სადმე.

— მერე, ეკადრება ვითომ სტუმრის
ცხენს სადმე ყოფნა?! — დამცინავად
გადაუკრა ელისაბედმა.

— ახლა იქნება ცხენიც შინ მომაპა-
ტიყვებინო?

— სტუმრის გულის მოსაგებად, რომ
იცოდე, ზოგი მასპინძელი მეტსაც აკე-
თებს და ეჭვი არ შეგეპაროს, მაგაზე
არც მე დავიხვევი უკან. — ჭიუტად მია-
ხალა ქალმა.

ნიკიფორემ ხმა არ გასცა. აჩქარებით
გავიდა სტუმართან, მაგრამ სკამზე დაჯ-
დომა ვერ მოასწრო, ეზოდან ცოლის
ყვირილი რომ შემოესმა:


— ცხენი, ნიკიფორე... ე, კაცო, ნიკი-
ფორევე...

სტუმარ-მასპინძელი ხმაურზე ეზოში
გამოვარდა. ელისაბედი ჯობით ხელში
ქაქანით შემოხვდა მათ.

— ავერ, ჩვენთან ახლოს დავუბირე,
ბატონო, დაბმა, მაგრამ არ დამანება თა-
ვი. აიწყვიტა, ბატონო და გაიქცა...

— აპატიეთ, თქვენი ჭირიმე, ვერ მი-
ხვდა ეგ უზრდელი, ამ ჯობით მის პატი-
ვისცემას თუ აპირებდით, თორემ ჩემ-
სავით ფეხს როგორ მოიცვლიდა აქე-
დან. — ღიმილით შენიშნა სტუმარმა.
თავი დაუკრა დაბნეულ მასპინძელს,
ცხენს შეეხმაურა და შარავზას მიაშურა.

ნანა კანდელაკი



უტექსტო ხუმრობა.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. კელიძე.

საქ. კ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.
რედაქციის მისამართი: რუხთაველიზ გაზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 31/V-1962 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა ჩაოდენობა 0,5. პირობით. ფორმათა
ჩაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 1057, შე 02599 ტირაჟი 4000 0

ასტურიის შახტებში დაწყებული საგაფიცვო ბრძოლა ესპანეთის სხვა პრო-
ვინციებშიც გავრცელდა. მარტო ბილბაოში გაფიცულია 50 ათასამდე მუშა.

გაფიცულებმა წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნები, მაგრამ ფაშისტური რე-
ჟიმის პირობებში ეკონომიური ბრძოლა გარდაუვალად იქცევა ბრძოლად ადამა-
ნის ღირსებისათვის, თავისუფლებისათვის.

19 მაისს გაზეთი „იზვესტია“ სწერდა: „ფურცლებზე, რომლებიც ვრცელდე-
ბა ესპანეთში, გვხვდება ლოზუნგი: „1962 წელი გადამწყვეტი წელია დიქტატუ-
რის დამხობისათვის.“

საათი დიდხანს იყო გაჩერებული, ახლა კი ამუშავდა. იგი გარდაუვალად გვა-
ჩვენებს, რომ ფრანკოს აღსასრული დგება“.

1961

ფრანკოს აღსასრულის საათი ახლოვდება

1962

